საქართველოს მთავრობის

დადგენილება №145

2018 წლის 27 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების 1^{15} მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^{16} მუხლი:

„1^{16}. „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 104-ე და 105-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებულია საქონლის ტრანზიტი.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 103-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 104-ე – 120-ე გრაფები:

„104	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის დოკუმენტური შემოწმება		30 ლარი
105	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის დოკუმენტური შემოწმება		30 ლარი
106	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იდენტურობის შემოწმება		30 ლარი
107	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის იდენტურობის შემოწმება		30 ლარი
108	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი		40 ლარი
109	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ფიზიკური შემოწმება ნიმუშის აღების გარეშე		40 ლარი
110	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ფიზიკური შემოწმება ნიმუშის აღებით (გარდა 113-ე გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)		90 ლარი
111	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლიდან ნიმუშის აღება (გარდა 112-ე გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)		50 ლარი
112	ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლიდან ნიმუშის განმეორებით აღება		100 ლარი
113	ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლიდან ნიმუშის განმეორებით აღება		100 ლარი

114	ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება (გარდა 115-ე გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)		100 ლარი
115	ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ლაბორატორიული ანალიზისათვის განმეორებითი ნიმუშის აღება		200 ლარი
116	სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ან მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება (გარდა 117-ე გრაფით გათვალისწინებული შემთხვევისა)		100 ლარი
117	სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ან მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ლაბორატორიული ანალიზისათვის განმეორებითი ნიმუშის აღება		200 ლარი
118	არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების მხოლოდ დოკუმენტური შემოწმება		50 ლარი
119	არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების დოკუმენტური, იდენტურობის და ფიზიკური შემოწმება		150 ლარი
120	არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების ლაბორატორიული ანალიზისათვის განმეორებითი/რეფერენტული (შედარებითი) ნიმუშის აღება		100 ლარი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**